საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკაბი

კაკაბი

კაკაბი (Alectoris chukar), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. ფერად მოცისფრო-მონაცისფროა, თავსა და ფრთებზე - მოვარდისფრო ელფერი დაჰკრავს; ზურგი მოყავისფრომონაცრისფროა; გვერდებზე გარდიგარდმო მუქი ზოლები გასდევს. შუბლიდან თვალებზე, კისრის გვერდებსა და ყელზე აქვს განიერი შავი ზოლი, რ-იც სხვადასხვა ფორმის რკალს ქმნის. მამალი ტანად დედალზე დიდია, ფეხებზე აქვს დეზები. კ-ის სხეულის მასა 350–700 გ აღწევს. გავრცელებულია ბალკანეთის მთებიდან ჩრდ. ჩინეთამდე, გვხვდება ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში ბინადრობს კავკასიონის სამხრ. კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარის, თრიალეთისა და ერუშეთის ქედებზე, ივრის ზეგანზე, ქვაღორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარული მთების ფერდობებზე – მთისწინებიდან თითქმის თოვლის ხაზამდე. იკვებება მცენარის თესლით, ყლორტებით, კვირტებით და მწერებით. სპორტული ნადირობის ობიექტია.

ა. ბუხნიკაშვილი